ცნობის ფურცელი

№ 2093 სამშაბათი, 11 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2093

ხელმოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. ჰალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—69)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ველიჯანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

დ. ა. ველიჯანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეთა 1—2 საათამდე.

პრ. მ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ტ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **მ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და ცარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ველიჯანიშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

წარმოდგენა 42—4. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 მარტს, 1903 წ.

◆ **ს. ხვიმონიძის საბენეფისოდ** ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქმედებ. ბ-ლისა, აზრი აღებულია მეტერლინკის „მონ ნავანადან“.

II

ბედნიერი ცოლქმრობა

ვოდევ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ.ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, დედაბრიშვილი, იორდანოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად გ. იბსენის პატივსაცემლად „ნორა“, „მედეა“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, **№ 22,** დიდი ვანქის ქვემოთ კუთხიდან. **ტელეფონი 612**

ხუთშაბათს, 13 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბის სადგომში შესდგება საზოგადო კრება **საიმპერატორო** საგეოგრაფო რუსეთის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. კრებაზე განყოფილების ნამდვილი წევრი **ქ. ი. პოდოზერსკი** წაიკითხავს მოხსენებას „კავკასიის მთავარ ქედის უღელტეხილის სანჩარის ბილიკი და სოფ. ფსხუ“. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ უფასოდ. (ჯ. 3—1)

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ერთი კორესპონდენტი მისულა რუსეთის ელჩ ზინოვიევთან და მაკედონიაზე საუბარი გაუმართავს. ელჩის სიტყვებიდან ერთის დასკვნის გამოყვანა შეიძლება, სახელდობრ იმისა, რომ ზინოვიევი დარწმუნებულია ოსმალეთის სულთანისა და მთავრობის სრულ გულ-წრფელობაში. მაგრამ სულ სხვა კითხვა არის—მიაღწევს თუ არა მიზანს ბრწყინვალე პორტა, ე. ი. შესძლებს თუ არა მაკედონიის დამშვიდებასო, ჰკითხულობს კორესპონდენტი და მისი პასუხი უფრო პესიმისტურია. მაკედონელ რევოლიუციონერების მოძრაობას ძველი მომზადებული და მომარაგებული ნიადაგი აქვს და მისი შეჩერების იმედი რუსეთის ელჩსაც არა ჰქონია. სარწმუნო წყაროებიდან იციან, რომ რევოლიუციონერების ორგანიზაცია მთელ მაკედონიაშია გავრცელებული. თუ მაკედონია ამ მხრივ საიმედოს ცოტას წარმოადგენს, სამაგიეროდ დიდი იმედი აქვთ ბოლგარიის მთავრობის „გონიერებისა“—ის აღარ შეევიწროს განზრახულ რეფორმების განხორციელებასო.

— რაღა მოხდება, თუ მაკედონიაში აჯანყება არ ჩაჰქრებაო, უკითხავს კორესპონდენტს ზინოვიევისათვის.

— ოსმალეთი მოვალეა შემოიღოს რეფორმები, ჩვენ მოვალენი ვართ თვალყური ვადევნოთ ამ რეფორმების შემოღებას, და შემდეგ... ჩვენ (რუსეთმა) ხომ გამოვაცხადეთ, რომ ერთ წვეთ სისხლსაც არ დავღვრით მაკედონელებისათვის, უთქვამს პასუხად რუსეთის ელჩს.

— მაშ ოსმალეთს უფლება ექნება დააწყნაროს აჯანყება?

— რასაკვირველია...

ბაღდადის გზა. „ნოვოე ვრემია“ კიდევ უბრუნდება ბაღდადის რკინის გზის საქმეს და უმტკიცებს საფრანგეთის მთავრობას და საზოგადოებას, რომ მათ ეს კითხვა ძალიან ცუდად ესმით. ფრანგული გაზეთები კი თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ კარგად ესმით ეს საქმე და ის კი ვერ გაუგიათ, თუ რატომ არის რუსეთი უკმაყოფილო: „რუსეთს თუ ჰგონია, რომ ბაღდადის რკინის გზა გააძლიერებს გერმანიის გავლენას ოსმალეთის იმპერიაში, მას კიდეც უნდა უხაროდეს, რომ საფრანგეთი მიიღებს ამ საქმეში მონაწილეობას და ამ გვარად ხელს შეუშლის გერმანიის სრულ გაბატონებას მცირე აზიაში. რუსეთისათვის ბევრად უარესი იქნებოდა, რომ მარტო გერმანია აშენებდეს ამ გზას“.

რუსული გაზეთი ამის საპასუხოდ სწერს, რომ გერმანია ყოველთვის ისარგებლებს რკინის გზით, ვინც უნდა ააშენოს იგი, და ამ გვარად თვისს მიზანს მიაღწევსო. ერთის სიტყვით, ბაღდადის რკინის გზა არ უნდა იქნეს, რადგან რუსეთი ვერ ისარგებლებს და სხვები კი ისარგებლებენ; გარდა ამისა ოსმალეთი სტრატეგიულად გამაგრდებაო.

„ნოვოე ვრემია“-ს კიდევ იმედი აქვს საქმის გამობრუნებისა, ოღონდ საფრანგეთმა მოინდომოს და ენერგიულად შეუდგეს უკვე დაწყებულ საქმის ჩაფუშვასო.

საინტერესოა, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს უკანასკნელად პარლამენტში, როცა მას შეეკითხნენ, სხვათა შორის, ბაღდადის რკინის გზის თაობაზე: ყოველ კითხვას პასუხი გასცა, მხოლოდ ეს კითხვა დარჩა უპასუხო და „ნოვოე ვრემია“-ც ჯავრობს.

ახალი ამბავი

◆ 8 მარტს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიის წევრთა და ზოგიერთ ხმოსანთა საჭიდრავლიკო სადგურის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. განიხილეს საკონცესიო პირობა უსახელო საზოგადოებისა. კრება ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა. ბოლოს კრებამ დაავალა დაავალოს ა. ბ. ევანგულოვსა და ენფენჯიანცს, რადგან ისინი წინაალმდეგნი არიან უსახელო საზოგადოების პირობისა, წარუდგინონ 12 მარტამდე თავიანთი აზრი. 12 მარტს ახალი კრება მოხდება.

◆ პეტერბურგში, როგორც გვატყობინებენ, ქართველ სტუდენტებს განუზრახავთ ამ ცოტა ხანში კონცერტის გამართვა. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ კონსერვატორიაში მოსწავლე ქართველი ქალები.

◆ დღეისთვის დანიშნულია კრება სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს ინჟენერ მაევსკის მოხსენება ამ სათაურით „Практика

ფელეტონი

კრიტიკული შენიშვნები

(რუსი ბელეტრისტი ლეონიდ ანდრეევი *)

II

როგორც ზემოდ ვსთქვით, ლეონიდ ანდრეევი ახალგაზდა მწერალია. სულ სამი წლიწადია, რაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა და ამ ცოტა ხნის განმავლობაში მთელის რუსეთის ყურადღება მიიპყრო. ასეც უნდა მომხდარიყო: იმისი პატარა მოთხრობები ეხება დღევანდელ ცხოვრების მწვავე საკითხებს, ცხოვრების ჭირ-ვარამს.

მწერალი საზოგადოების ყურადღებას იქცევს მხოლოდ ორ შემთხვევაში: პირველი—იმისი ნაწერები მართლაც მწვავე საკითხებს უნდა ეხებოდეს, საზოგადოებას გზას უნათებდეს, საზოგადოებაზე ზნეობრივი გავლენა ჰქონდეს; ამ შემთხვევაში მწერალი სასარგებლო საზოგადო მოღვაწეა, იგი ამაღლებს ზნეობრივად პიროვნებას და იმასთან ერთად მთელ საზოგადოებასაც. მეორე შემთხვევაში-კი მწერალი მკითხველთა ყურადღებას იპყრობს თავის ნაწარმოებთა უვარგისობით და სიგლახით. თუ რომელიმე ნიჭიერი, მაგრამ უზნეო მწერალი ხელოვნებას იარაღად იყენებს თავის საზიზღარ შეხედულების გასავრცელებლად, თუ იგი გარყვნილებასა და გათახსირებას ისე კარგად დახატავს, რომ მკითხველსაც ჰრყვნის, მკითხველსაც იტაცებს გარყვნილებისაკენ,—ასეთი მწერალი, რასაკვირველია, საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს, რადგან იმის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, საჭიროა ამ ჯურის მწერალთა ნაწერების უზნეობისა და უვარგისობის დამტკიცება. ასეთი მწერალი ჰრყვნის მკითხველ საზოგადოებას და ხელოვნებას ტალახში ჰსვრის. ცხადია, ასეთ მწერალს დიდი ზარალი მოაქვს, ცხადია, იგი საზოგადოების მავნე წევრია. იმის წინააღმდეგ იბრძვის მწერლობის საუკეთესო ნაწილი და ამიტომ ასეთი მწერლები ცნობილნი ჰხდებიან.

ლეონიდ ანდრეევი არ ეკუთვნის ამ ჯურის მწერლებს. იმის მოთხრობებში ვერ შეჰხვდებით ისეთ ადგილს, რომელიც მკითხველს გარყვნილებისაკენ იწვევდეს; პირიქით, იმის მოთხრობების წაკითხვის შემდეგ საშინლად გძულდებათ გარყვნილების ბუდე და მიზეზი—თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობილებანი. ანდრეევი გარყვნილებისა და, საზოგადოდ, უზნეობის საშიშარი მტერია, იმას აზრად აქვს დაუმტკიცოს მკითხველს თანამედროვე კულტურის გახრწნილება, დაუმტკიცოს, რა ნაირად იტანჯება დღეს პიროვნება, რა უშინაარსო და უმიზნო ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება. იმის მოთხრობათა უმთავრესი მოტივი—იმის გმირების მარტოობაა. ანდრეევის აზრით, ადამიანს შეეძლო კარგად მოეწყო საქმე, რომ ცხოვრება ღირდეს რამედ, ადამიანს შეეძლო ცხოვრება კარგ პირობებში ჩაეყენებინა, დღევანდელი უაზრო და უშინაარსო ხეტიალი შინაარსით მდიდარ ცხოვრებად გარდაექმნა. მაგრამ დღეს ყველგან და ყოველთვის ქიშპობასა ვხედავთ, დღეს ბრძოლა არსებობისათვის აიძულებს პიროვნებას, ფული სათაყვანებელ საგნად გაიხადოს; ბრძოლა და კონკურენცია ადამიანს ამარტოვებს; პიროვნება ათასგვარ სენით იტანჯება, ათას გვარ უსამართლობით ილახება; იმას არავინ არ ეხმარება, არავინ არ ანუგეშებს, იგი მარტოდ მარტოა.

ასეთია ლეონიდ ანდრეევის მოთხრობათა მთავარი იდეა. ეს იდეა რუსულ ლიტერატურაში არ ახალია, ძველია. შესანიშნავი სატირიკოსი ჩეხოვი ანდრეევზე უფრო ადრე და უკეთ ჰხატავდა და ჰხატავს საშუალო კლასის უაზრო ცხოვრებას. მაშ რისთვის გაილაშქრეს ანდრეევის წინააღმდეგ? იქნებ პორნოგრაფიისათვის? ანდრეევი, როდესაც ჰხატავს ვნებათა ღელვისაგან ამოძრავებულ ადამიანის მოქმედებას, არ ეხება დაწვრილებით ფიზიოლოგიურ მომენტებს, როგორც შვრებოდნენ საფრანგეთის ნატურალისტები; იგი მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, მხოლოდ გვეუბნება—ასე მოხდაო. ავტორი ისე ჰხატავს ამ გვარ მომენტებს, რომ სრულიად დაბრმავებული მკითხველი თუ იფიქრებს მხოლოდ, რომ გარყვნილება კარგიაო. მაშ, რისთვის ამხედრდნენ ანდრეევის წინააღმდეგ რუსეთის კონსერვატორები და ლიბერალებიც-კი?

სანამ ამ კითხვაზე მოგცემდეთ პასუხს, საჭიროდ მიგვაჩნია იმის კარგად ცნობილ მოთხრობების «Бездна»-სა და «Въ туманѣ»-ს შინაარსი გავიცნოთ. პირველ მოთხრობაში შვენივრადაა დახატული გამხეცებულ ადამიანის მდგომარეობა, იმ ადამიანისა, რომელიც ლიბერალურ ფრაზებით თავს მოგაბეზრებთ, მაგრამ თუ შემთხვევა მიეცით, არ დაგზოგავთ. ახალგაზდა სტუდენტს, ნემოვეცკის, და ახალგაზდა გიმნაზიელ ქალს, ზინოჩკას, უყვართ ერთმანეთი. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ გარედ გავიდნენ სასეირნოდ. გზაში ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ. ბაასმა ისე გაიტაცა ჩვენი ახალგაზდები, რომ შემოაღამდათ კიდეც. ტყეში შეჰხვდათ სამი მთვრალი კაცი, რომელთაც შემთხვევით ისარგებლეს, ნემოვეცკი მაგრა მიბეგვეს, ხოლო სუსტი ზინოჩკა გააუპატიურეს. ეს კიდევ არაფერი. მოვიდა თუ არა გონს ნემოვეცკი, დაუწყო ძებნა სატრფოს. ბოლოს, როგორც იქმნა, იპოვნა მიწაზე დაგდებული, გაშიშვლებული გვამი. დაუწყო ნძრევა, მაგრამ ზინოჩკას გრძნობა დაჰკარგოდა და არაფერი ესმოდა. ამ დროს ნემოვეცკის აღეძრა მხეცური გრძნობა, იგი

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2090.

ეროვნული

большого орошенія и орошеніе для переселенческихъ участковъ, крестьянъ и землевладѣльцевъ".

◆ ამას წინად ვწერდით, რომ აზრადა აქვთ გაიყვანონ წყალი მუღანის მინდვრის მოსარწყავადაო. წყალთა უწყების მიერ შედგენილ პროექტით, საჭიროა 8 მილიონ მანეთამდე წყლის გასაყვანად და 160,000 დესეტინა ადგილის მოსარწყავად. ამას წინად აგრონომს ტარატინოვს დაუთვალიერებია მუღანის მინდორი და აღმოუჩენია, რომ დიდი ნაწილი იმ ადგილისა, რომლის მორწყვასაც ჰფიქრობენ, მლაშობია და ამიტომ წყლის გაყვანის შემდეგაც არ გამოდგება.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ბეითალი წავიდა ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებში იმის გამოსაკვლევად, არის სადმე ჭირიანი საქონელი თუ არა.

◆ ოფიციალურის ცნობებით, ტფილისის გუბერნიის შემდეგ მაზრებში ყოფილა საქონლის ჭირი გავრცელებული: ბორჩალოს მაზრაში—ოთხ ადგილას, სიღნაღისაში—ერთ ადგილას, გორისაში—ერთ ადგილას, თელავისაში—ოთხ ადგილას და ტფილისისაში—ერთ ადგილას.

◆ რადგანაც სხვა-და-სხვა ქალაქის სატუსაღოებში ამ ჟამად გადამდები სენი მძვინვარებს, მთავრობამ განკარგულება მოახდინა შეაჩერონ ტუსაღების ეტაპით გზავნა ტფილისისა, ბაქოსა, განჯისა, სოხუმისა და ზოგიერთ სხვა ქალაქებიდან.

◆ კვირას, 9 მარტს, მაჰმადიანთ დიდის ამბით იდღესასწაულეს ნოვრუზ-ბაირამობა, ახალი წელიწადი.

◆ კავკავის ქართულ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე ბართენ გოთუა გვთხოვს დავბეჭდოთ ანგარიში საქველ-მოქმედო სადამოსი, რომელიც გაიმართა კავკავის ქართულ სკოლაში ამავე სკოლის სასარგებლოთ 26 დეკემბერს 1902 წ.

შემოსავალი ყოფილა: ბილეთების გაყიდვისა—590 მან. 50 კაპ., ბუფეტისა—607 მ.ნ. 99 კაპ. ბაზარისა—60 მან. შემოწირულება—189 მან. 40 კაპ., სულ 1447 მან. 89 კაპ.

ხარჯი: სადამოს მოწყობა-გამართვა—116 მან. 34 კაპ. ბუფეტის ხარჯი—102 მან. 45 კაპ., გასართობები—79 მან. 37 კაპ., ცოცხალი სურათები—52 მან. 31 კაპ. სულ. 350 მან. 47 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 1097 მან. 42 კაპ., რაც მიემატა სკოლის თანხას. ფულად შემოსწირეს: 25 მან. თ. დ. შავგულიძემ; თითო თუმანი: ს. ი. ხადჟერტოვმა, მ. ფ. მარაბულმა, ს. გ. კარაკოზოვმა და ი. გ. მეილევმა. ხუთ-ხუთი მანეთი: გ. ს. გიორგობიანმა, ალ. ივ. ნაუმოვმა, მ. ს. არტემოვმა, ბ. გ. მარანდაოვმა, ზ. ი. პაპოვმა, ნ. ბ. ანანიევმა, ნ. გ. გასუმიანცმა, გ. თ. სიმონოვმა, ი. არ. თათუზოვმა, ხრ. ა. ანდრეევმა, ზ. აგ. ბელიავსკიმ, მ. მ. როზენბლიუმმა, თ. ალხაზოვმა, გ. გ. მოზდოგელოვმა, მ. ან. გალანდარიშვილმა, გ. ი. მოსკოვენკომ, გ. გ. პაევმა, დჟ. ა. გუდენეტოვმა, და მ. ზუზანოვმა, 4 მან. 40 კაპ. დ. დ. ზუბინიძემ, 4 მან. დ. ტ. შანაევმა,—სამ-სამი მანეთი: ბ. ს. გასტანოვმა, ნ. გ. კირეევმა, ან. დ. შანაევმა, მამა გარბუციანსკიმ, გ. მ. სერგეევმა, ეკ. პროხანოვმა, და ალ. გ. ბაგდასაროვმა, სულ. 189 მან. 40 კაპ.

ყველა იმ პირთ, ვინც სადამოს გამართვაში და ცოცხალ სურათებში მონაწილეობა მიიღეს და შემოსწირეს ფული, სანოვაგე და ნივთები, აგრეთვე ვინც საზოგადოდ ხელი შეუწყო სადამოს წარმატებას, სკოლის სამზრუნველო კომიტეტი უცხადებს უგულითადეს მადლობას.

◆ კნეინა მართა ივანეს ასული ხოლოყაშვილისა გვთხოვს დავბეჭდოთ ანგარიში იმ ბალისა, რომელიც თელავში გაუმართნია 2 თებერვალს წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის შესატანად. შემოსულა ბილეთებისა, პროგრამები, ქაღალდისა და ხილის გაყიდვისა და ბუფეტიდან სულ 671 მანეთი და 45 კაპ., დაუხარჯნიათ 179 მან. 17 კაპ. დარჩენილა 492 მან. 28 კაპ., რაიც გადაეცა წმ. ნინოს სასწავლებლის ხაზინადარს.

კნეინა ხოლოყაშვილისა გულწრფელ მადლობას უძღვნის იმათ, რომელთაც ფული და ნივთები შესწირეს და დახმარება აღმოუჩინეს, აგრეთვე საკრებულოს მამასახლისებს სადგომის უსასყიდლოდ დათმობისათვის.

◆ მადათოვის კუნძულზე, ქამოევის სახლში გაჩენილმა ცეცხლმა დიდი ზარალი მიაყენა მაღაზიის პატრონებს. დაიწვა, როგორც გვწერთ, შვიდი თვალი: სანოვგისა, მასუხოვისა და სხვათა მაღაზიები. ქამოევს თავისი სახლი 200,000 მანეთად ჰქონია დაზღვეული. მაღაზიების პატრონთაგან მხოლოდ სანოვგს ჰქონია საქონელი დაზღვეული 12,000 მანეთად. სანოვგს, სადაც პირველად ცეცხლი გაჩნდა, დასწვია დიდ-ძალი ტანისამოსი, რკინის გზის მოსამსახურეთათვის დამზადებული. მიზეზი ცეცხლის ჩენის ჯერაც ვერ გამოარკვიეს.

◆ 6 მარტს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების იასონ ხომერიკისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს ხომერიკი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა. პალატამ გაამართლა ხომერიკი.

◆ 5 მარტს პალატამ გაარჩია საქმე გიგო მაჩხანელისა, რომელსაც მოხელე პირის შეურაცხება ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვეტია მაჩხანელისათვის. პალატამ მაჩხანელი სრულიად გაამართლა ბრალდებისაგან.

◆ დღეისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: სოლომონ მინდელაშვილისა და კონსტანტინე ფერნაძისა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ, ნოშრევან ნიკაჭაძისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება, მიხეილ კუციასა—ქურდების დამალვა, კონსტანტინე მესხიევისა—ქურდობა ჰბრალდება, და სხვ.

◆

პრესსა

26 თებერვალს გამოცხადებულს უმაღლეს მანიფესტს დიდის იმედით ეგებებიან როგორც სატახტო ქალაქებისა, ისე პროვინციის რუსული გაზეთები. თითქმის ყველასა სწამს, რომ მალე მოვესწრებით სხვა-და-სხვა სერიოზულ რეფორმებს. „კიევსკაია გაზ."-ს მოჰყავს უმთავრეს გაზეთების აზრი მანიფესტის შესახებ და ასეთი დასკვნა გამოჰყავს მათ შენიშვნებიდან:

> ცხოვრება დაუცხრომელის დაჟინებით თხოულობს საჭირო რეფორმებსა და, საზოგადოდ, ჩვენის მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათ. ჩვენ ისეთს ყოფაში ვართ ამ ჟამად, როდესაც უფრო საჭირო და უფრო სასარგებლოა—ჰიგიენა, რომელიც მთელს ორგანიზმზე მოქმედობს და ორგანიზმის ყოველს ნაწილს საშუალებას აძლევს თავისუფლათ ავარჯიშოს თავის ძალა. ასეთი ჰიგიენა თუმცა უცბათ არ მოქმედობს, მაგრამ ნამდვილად არჩენს წყლულსა და ანვითარებს ორგანიზმს. შეუდრეკელი შემოქმედებითი სახელმწიფო მოღვაწეობა, რომელსაც საგნად ექმნება ჩვენის დროის ეკონომიურ და იურიდიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ერთად-ერთი სწორი გზაც იქმნება. ჩვენს დროში საუკეთესო პოლიტიკა არის—შეუდრეკელი და ენერგიული მსვლელობა რეფორმების განვითარების გზაზე.

⁂

მანიფესტის კითხვამაო, სწერს „ნოვ. ვრ.", დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროვინციაშიო. სარატოვში, მაგალითადო, აუარებელი ხალხი მიაწყდა ერთის გაზეთის რედაქციას, რომელმაც ტელეგრაფით მიღებულის მანიფესტის ოტტისკი გამოჰკიდა რედაქციის შესავალ კარებზეო. შემდეგ მანიფესტს ქუჩებზე ჰკითხულობდნენ ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილნიო. სხვათა შორის გაზეთი აღგვიწერს ერთ სურათს: მოედანზე თავი მოეყარათ გლეხებს; ერთ მათგანს ხელში უჭირავს გაზეთი, რომელშიაც მანიფესტია მოთავსებული, და ხმა-მაღლა ჰკითხულობს მას; გლეხები დიდის ყურადღებით უსმენენ.

> გლეხი ძალიან მკაფიოდ და მაღალის ხმით ჰკითხულობს მანიფესტის თითოეულ სიტყვას; მსმენელნი სულ-განაბულნი სდგანან და პირისახეზე იმედი, სასოება და დიდი მოლოდინი ეხატებათ.
>
> — ბოძებულია პეტერბურგში 26-სა დღესა თებერვალსა! ათავებს კითხვას წერა-კითხვის მცოდნე გლეხი.
>
> მსმენელთ ერთხმად ამოიხვნეშეს. მათ სერიოზულ პირისახეზე იგივე ყურადღება და რაღაცას მოლოდინი იხატება.
>
> — კიდევ წაგვიკითხე! მკაცრად უბრძანებს მაღალი ქერა გლეხი.
>
> — შენ ეი, გოგრავ! ქაჯის ყელი ხომ არა მაქვს, რომ ათასჯერ წაგიკითხოთ!
>
> — ბევრს ნუ ყბედობ! წაიკითხე კიდევ, შესძახებენ გლეხები. ისიც ძალა-უნებურად კვლავ იწყებს კითხვას. გლეხები ისევ დიდის ყურადღებითა და რაღაცის მოლოდინით ისმენენ....

◆

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში

(დასასრული *)

თუ შიდა გუბერნიებში ერობამ ფეხი მოიდგა და ეკონომიური ცხოვრება გააუმჯობესა, არავითარი მიზეზი არაა, ჩვენში ხელი შეუშალოს ერობის შემოღებას და მოსალოდნელი ნაყოფიც მოიტანოს. ამის საჭიროება კიდეც მოვიდა. აი რა საბუთებით: 1) 40 წლის განმავლობაში გლეხობის თვითცნობიერება შესამჩნევად განვითარდა; სახელმწიფო ენის ცოდნაც გავრცელდა იმდენად, რომ ინტელიგენცია სულ ამ ენას ხმარობს თითქმის; ბევრია ამჟამად ჩვენში მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგის მცოდნენიც. 40 წლის წინად მონობისაგან განთავისუფლებული რუსეთის გლეხობა თუ მზად იყო მიეღო და კიდეც ებოძა რეფორმატორისაგან ერობა, ამ ჟამად რამ უნდა შეუშალოს ხელი ჩვენში ერობის შემოღებას. გლეხობას რომ შეუძლია თვით-მმართველობა, ეს ცხადად დაამტკიცა პერმისა და ვიატკას გუბერნიებმა, სადაც ერობას განსაკუთრებით გლეხები შეადგენენ და საუკეთესოდაც მიჰყავთ საქმე.

2) წოდებათა ერთი მეორისგან და ცალკე ხალხების ურთიერთ შორის განცალკევება ფრიად განხეთქილებას და ბრძოლას ჰბადავს და ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის. საერთო ინტერესების დაცვა ერობის შემოღებით ყველა ხალხებს შეაერთებს და საერთო ძალით განვითარების გზაზე დააყენებს. ამ მხრით ერობას თვით სახელმწიფო მნიშვნელობაც აქვს.

3) სოფლის აკლია ინტელიგენცია. ერობის შემოღება გაიხმობს, სამუშაოს მისცემს და მოქმედების ფართო ასპარეზს გაუჩენს ინტელიგენტს სოფლად.

4) მეურნეობის საქმე ვერ მოთავსდება ბიუროკრატიულ წესებთან. იმის განვითარება და წინამძღოლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სათავეში მცოდნე უზის, ვინც დასახლებით იცის ყოველივე ვითარება მეურნეობა-მრეწველობისა. ეს არის თვით ხალხი ან იმისი უკეთესი წარმომადგენელი—ერობა, მფარველი ხალხისა და იმის საჭიროება-სარგებლობისა.

5) საერობო საჭიროებანი იზრდებიან და გადასახადებიც ისე გაიზარდა, რომ ამის მომატება შეუძლებელი ჰხდება, რადგან ხარჯის გამომღები თვისის შეძლების მიხედვით არ იხდის გადასახადს, იმიტომ რომ არ არის ნამდვილი სტატისტიკა, რომელსაც შეუძლია უკეთესად ცხად ჰყოს. ამის შემოღება კი შეუძლია ერობას, რომელმაც ევროპასა და რუსეთში ამ მხრით საპატიო სახელი მოიპოვა.

6) ხარჯების მხრითაც დაბრკოლება არ იქმნება ერობის შემოღებაში. ესლანდელი ხარჯებიც საკმარისია, მაგრამ თუ ახალიც იქმნება საჭირო, ერობის დროს ეს ხარჯები უფრო თანასწორად გაიწერება მცხოვრებლებზე და უფრო სავსებით დააკმაყოფილებს იმათ საჭიროებათ.

7) ჩვენმა ქვეყანამ ნათლად შეიგნო ერობის შემოღება—ბევრ დაწესებულებათ ერთხმად დაადგინეს ერობის შემოღება ჩვენში: კავკასიის

---

* იხ. „ცნ. ფურც." № 2091

ააშფოთა შიშველა ქალის ტანის ცქერამ, გონება დაკარგულ ქალს ხელები მოჰხვია და.... გააუპატიურა.

ასეთია ამ მოთხრობის შინაარსი. ნათლადაა დახატული, რამდენად მხეცია ადამიანი, საზოგადოდ, განურჩევლად კლასისა და წოდებისა, რა შეუძლიან უბრალო შემთხვევას, რა ნაირად გვამხეცებს ვნებათა-ღელვის დაკმაყოფილების სურვილი. საბრალო ქალი, რომელიც სამმა მხეცმა გააუპატიურა, ქალი, რომელიც ისე შეურაცხჰყვეს, რომ გონებაც კი დაჰკარგა,—ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალი გააუპატიურა ნემოვეცკიმ. ნემოვეცკებისათვის საკმაო შემთხვევა, ისინი არავის და არაფერს არ დაჰზოგვენ, ყველაფერს ივიწყებენ და ნამდვილ მხეცებად ჰხდებიან. რამდენია, მკითხველო, ნემოვეცკისთანა კაცი? ნუ თუ იმდენი საზოგადოებრივი სიმამაცეც კი არა გვაქვს, რომ გულ-წრფელად აღვიაროთ, ყველა ჩვენგანში ზის ნემოვეცკისებური მხეცური ინსტინქტიო, რომელიც მხოლოდ შემთხვევას ელის და რომელიც ისეთ უდრო-დროს გაგვაცნობს თავის თავს, რომ ჩვენც გვიკვირს. ის, ვინც ამბობს, ასეთ მოვლენებს ცხოვრებაში ადგილი არა აქვსო, ან განგებ ამახინჯებს სინამდვილეს ან და ცხოვრებისა არა გაეგება-რა. ყველა ჩვენგანს შეუძლიან ანალოგიური მაგალითები დაგვისახელოს (რასაკვირველია, თუ ერთ წამს მაინც გულწრფელად ვილაპარაკებთ). ნემოვეცკის მხეცური საქციელი ფსიხოლოგიურადაც ძლიერ ადვილი ასახსნელია. ნემოვეცკი იმ აზრით კი არ მიდიოდა გონება-დაკარგულ ქალთან, რომ თავისი ჟინი დაეკმაყოფილებინა. სრულებითაც არა. მივიდა თუ არა იმ ადგილას, სადაც ეგდო იმისი ზინა, ნემოვეცკიმ დაინახა გაშიშვლებული ტანი, რომელმაც გაამხეცა და საზიზღარი საქციელი ჩაადენინა. აქ ავტორის მხრივ ვერავითარ ძალდატანებას ვერა ვხედავთ. აღელვებული ნემოვეცკი ჰგრძნობს თავის საქციელის სისაძაგლეს, მაგრამ სცდილობს თავი გაიმართლოს იმით, რომ ერთმანეთი უყვართ, რომ მალე ცოლად შეირთავს ზინოჩკას.

ერთის სიტყვით, მოთხრობას ფანტაზიისა არა აცხია-რა: ნემოვეცკი თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობის ფოტოგრაფიული სურათია, იმ უმრავლესობისა, რომელსაც მხოლოდ ვნებათა-ღელვა ამოძრავებს, რომელიც არაფერს არა ჰზოგავს, ოღონდ კი მხეცური სურვილი სისრულეში მოიყვანოს, რომელსაც გონება ეკარგება ამისთანა შემთხვევებში. ვიმეორებთ, მხოლოდ უკიდურეს ოპტიმისტს შეუძლიან სთქვას, ნემოვეცკისთანა მხეცები ცხოვრებაში არ არიანო, მხოლოდ ასეთ კაცს შეუძლიან უარჰყოს ის ფაქტი, რომ ყველა ჩვენგანში, მცირედ მაინც, ზის ნემოვეცკი მოთხრობაში არ არის ისეთი რამ, რაც პორნოგრაფიას მოგვაგონებდეს. აღნიშნულია მხოლოდ, რომ ქალი გააუპატიურესო. ნუ თუ ესეც პორნოგრაფიაა? ნუ თუ ამის თქმაც მავნებელია? მაშ რამ ააშფოთა რუსეთის საზოგადოება? რამ აამხედრა მრავალნი ანდრეევის წინააღმდეგ? რამ გააჯავრა ბურენინი, ის ბურენინი, რომელმაც უდრო დროდ გაისტუმრა საიქიოსკენ რუსის პოეტი ნადსონი? ნუ თუ მწერალი სიმართლის თქმისათვის უნდა გავკიცხოთ? მაგრამ სანამ ამ უცნაურ პროტესტის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, საჭიროა მეორე მოთხრობის „Въ туманѣ"-ს გაცნობა.

მოთხრობის გმირი პავლე რიბაკოვი (მოსწავლეე) ცუდად აღზრდის გამო ადრე ეწვევა როსკიპ ქალებს და ავადაც ხდება ვენერიულ ავადმყოფობით. ყმაწვილი ჰფიქრობს, რომ სამუდამოდ დაიღუპა, რომ იგი გარყვნილი კაცია, რადგან ავადაა, რადგან დაჰკარგა სხეულის სიწმინდე. არავინ არა ჰფიქრობს, რა ზნეობრივი კრიზისი დაუდგა იმას; მშობლები თუმცა ჰგრძნობენ, რაღაც აწუხებს შვილსაო, მაგრამ მაინც და მაინც თავს არ იწუხებენ. დედას დარბაზობა უფრო ახსოვს, ვიდრე შვილი; მამა სცდილობს შვილთან გამოლაპარაკებას, მაგრამ ვერ ახერხებს, იმათ შორის დიდი უფსკრულია. პავლეს უყვარს ვიღაც გიმნაზიელი ქალი, მაგრამ არც ის თანაუგრძნობს. საზიზღარი სენი ძლიერ აწუხებს. იგი დარწმუნებულია, რაკი სხეულის სიწმინდე დაჰკარგა, გარყვნილი და გზადაბნეული კაცია, რომ იმისი გამობრუნება არაფერს და არავის არ შეუძლიან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ საღამოს, როდესაც დარწმუნდა, იმათ სახლში არ მივა სტუმრად სატრფო, გასწია სატრფოს სახლისკენ, შეჰხვდა გზაზე ვიღაც როსკიპ ქალს, რომელმაც თავისთან წაიყვანა. მაგრამ იმათ შორის ჩხუბი ასტყდა. პავლე როსკიპ ქალს თავის სატრფოს სახელს უწოდებს, ის-კი სჯავრობს. ბოლოს პავლე როსკიპსაც მოჰკლავს და თავის თავსაც მოიკლავს.

ასეთია ამ საყურადღებო მოთხრობის შინაარსი. დახატულია თანამედროვე მოზარდ თაობის ტრაგიკული მდგომარეობა. არავისთვის ეხლა საიდუმლოს არ შეადგენს, რომ მოსწავლე ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა ისეთს საცოდავ მდგომარეობაში ვარდება, როგორშიაც პავლე რიბაკოვი ჩავარდა. პროსტიტუცია საზარელი სენია თანამედროვე წყობილებისა; იგი მთელ საზოგადოებას მოედო; მთელი საზოგადოება შეიპყრო დღეს ამ სენმა. დღევანდელი ოჯახი და სკოლა ხელს უწყობს ამ გვარ ანომალიის განმტკიცებას. ჩვენი მამები არა სცდილობენ, მოგვცენ შესაფერი აღზრდა, შესაფერი განათლება; დღეს საკმარისია დიპლომის მიღება, საკმარისია თბილ ადგილის პოვნა; ახალგაზრდის სულიერი მხარე, იმისი ტანჯვა არ აინტერესებთ. დღევანდელი სკოლა ჰღუპავს ნორჩ ახალთაობას, სკოლასა და ახალთაობის შორის დიდი უფსკრულია. სკოლა მოხელეებს იძლევა და არა ნამდვილ ადამიანებს. ვიმეორებთ, დღევანდელი ოჯახი, დღევანდელი მამები, რომელნიც სრულებით ვერ იცნობენ შვილებს, ვერ იგებენ იმათ სულის კვეთებას, რომელთაც არ ესმით იმათი ზნეობრივი და გონებრივი მოთხოვნილებანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ, ტფ. და ქუთ. თავად-აზნაურთა კრებებმა, საიმპერატორო საექიმო საზოგადოებამ, მევენახეთა და მეღვინეთა საზოგადოებამ „კახეთი“-ამ თელავში, შინა-მრეწველთა კრებამ, ექიმთა კრებამ და სხვა.

ეხლანდელს შესანიშნავ დროს, როცა განსაკუთრებული საბჭო თვითონ დაგვეკითხა თქვენი საჭიროებანი გამოსთქვითო, ჩვენი მოვალეობაა სახელმწიფოსა და ჩვენი ხალხის წინაშე აღვიაროთ, რომ ჩვენს ძირითადს, აუცილებელსა და დიდად მნიშვნელოვან საჭიროებას შეადგენს ერობის შემოღება, ურომლისოდ შეუძლებელია მეურნეობა-მრეწველობის დიდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

საერთო კმაყოფილება გამოიწვია ბ-ნ სააკოვის მოხსენებამ. ჩვენ არ მოგვყავს აქა-იქიდან წარმოთქმული ცოტაოდენი შენიშვნები ზოგ დამსწრე წევრთა. მოხსენება სავსებით მიიღო კრებამ და მომხსენებელსაც მადლობა გამოუცხადა შრომისათვის.

თეატრი

ავლაბრის სახალხო წარმოდგენა. პარასკევს, 7 მარტს, მურაშკოს თეატრში (ავლაბარში) ბ-ნთ კ. ჭელიძისა, ალ. იმედაშვილისა და ი. ივანიძის დახმარებით ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „პატარა კახი“, ისტორიული დრამა აკაკისა. ავლაბრელი დაბალი ხალხი ჯერ იმდენად მოუმზადებელი ყოფილა, რომ მის მიერ დაწუნება-მოწონების მიხედვით ჩვენ ვერ დავაფასებთ ამ წარმოდგენას, ვერ დავაფასებთ აგრეთვე იმ თითო-ოროლა ინტელიგენტის შთაბეჭდილებითაც, რომელნიც ამ წარმოდგენას დაესწრნენ და, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილონიც დარჩნენ. მართალია, წარმოდგენას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უმთავრესი პირები: პატარა კახი (იმედაშვილი), გოგი წოდოიშვილი (კ. ჭელიძე), გულა (ი. ივანიძე) და დევან ქვაბულაძე (ბ. გორგაძე) შვენიერად და ოსტატურად თამაშობდნენ.

„პატარა-კახის“ წარმოდგენა ჩვენ დიდ სცენაზედაც გვინახავს და უნდა აღვიაროთ, რომ უმთავრესი მოქმედნი პირნი ბევრით არ ჩამოუვარდებოდნენ ცნობილ არტისტებს. გულა—გამყრელიძე გულა—ივანიძეს არ შეურცხვენია, ხოლო ვისაც-კი აქამომდე პატარა კახი უნახავს—იმედაშვილი ყველას აჯობებს. იმედაშვილის ნაკლი—ალაგ-ალაგ სიტყვათა დაბოლოების ყლაპვაა, მაგრამ, იმედია, მალე ამ ნაკლსაც დასძლევს.

რაც შეეხება წარმოდგენის გარეგნულ მოწყობას, აქაც ისეთვე სუსტობდა, როგორც საზოგადოთ სუსტობს ხოლმე დიდ თეატრშიაც. პიესის მიხედვით გულამ თავ-ქვეშ ქვა უნდა ამოიდოს და ისე დაიძინოს, როდესაც ტურფა დევანს ელაპარაკება. ივანიძეს-კი კუნძზე ჩამომჯდარს ეძინა. პატარა კახი (იმედაშვილი) პირველ მოქმედებაში ხელში „ბერდანკით“ გამოვიდა. ვერ გავიგეთ აგრეთვე რად შეუდგამენ ხოლმე ბაადურს ორბოფეხას (ასე იქცევიან დიდ თეატრშიაც), ნუ თუ ბაადურის დამბლობა, კუტობა ფეხ-მოჭრილობასაა ნიშნავს? ჩვენის აზრით, ორბოფეხა სასაცილოთ ჰხდის ბაადურს. კარგს იზამდნენ შემდეგში ბაადური ხელით დაჰყავდეთ ხოლმე. დანარჩენ მოთამაშეებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. კარგი იყვნენ რევაზ ბებურიშვილი (ბ. ბაკურაძე), თეიმურაზ მეფე (ბ. დოლიძე), შიკრიკები (მეხაძე და მატარაძე), სუსტობდა—ტურფა (ქ. საყვარელიძე), ხოლო სრულებით არ ვარგოდნენ: დედოფალი (ქ. რჩეულოვი), ბაადურ კუტი (მჭედლიშვილი) და პირველი მუშა (ბ. ივერიძე).

დასასრულ ორიოდე სიტყვა ბ-ნ მურაშკოს შესახებ. ბ-ნი მურაშკო, როგორც ეტყობა, დიდი გამჭრიახი კაცი ყოფილა. ქართველ კაცს ოცდაათი ქცევა მიწაც რომ ჰქონოდა ავლაბრის იმ გადაღუნულ ნაწილში, სადაც მურაშკოს თეატრია აგებული, იქმნება თავისს დღეში აზრადაც არ მოსვლოდა აქ თეატრის აგება, მაგრამ არა მგონია ისეთი გულზვიადიც ყოფილიყო ვინმე, როგორც გამოდგა ბ-ნი მურაშკო. წარმოდგენის გათავების შემდეგ ხალხმა „ლეკური“ მოისურვა. (ანტრაქტებში ზურნა უკრავდა). ბ-ნი მურაშკო-კი აუხირდა ხალხის უმანკო სურვილს, „პროგრამაში“ არა სწერია და ვერ გათამაშებთო“. ხალხი უკმაყოფილოდ დაიშალა. პროგრამაში თეატრის ქირაც არ არის ხოლმე გამოცხადებული, მაგრამ იგი-კი თითოეულ წარმოდგენისათვის ფულს იღებს იმ ოთხის კედლისა და ვიწრო ოთახის ქირაში, რომლისთვისაც მურაშკოს თეატრი დაურქმევიათ.

ი. ც—მე.

ტფილისში არსებობს „ქართულ-რუსულ საეკლესიო გალობის მოყვარულთა გუნდი“. როგორც გავიგეთ, ამ გუნდს განუზრახავს მდგომარე დიდმარხვაში, ტფილისის სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, გამართოს კონცერტი. უკვე შედგენილ პროგრამაში არც ერთი ქართული საგალობელი არ არის თურმე შეტანილი. კონცერტი გაიმართება საარტისტო საზოგადოების დარბაზში.

როგორც გავიგეთ, ნიჭიერ ბელეტრისტს დავით კლდიაშვილს დაუწერია ერთ-მოქმედებიანი სურათი და ეხლა იგი შესდგომია ახალ პიესის წერას.

მომავალ სეზონში ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში დრამა იქმნება. როგორც გავიგეთ, ანტრეპრენიორობა თვით საარტისტო საზოგადოებას უკისრნია.

წერილი პეტერბურგიდან

სამხატვრო გამოფენები

ამ ჟამად პეტერბურგში რამდენიმე სამხატვრო გამოფენაა. დიდი და ისეთი გამოფენა, რომელსაც უფრო ეტანება ხალხი, ორია—საკაზაფხულო გამოფენა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის დარბაზებში და მე-31 მოძრავი გამოფენა მხატვართა ამხანაგობისა, რომელიც მოთავსებულია სამეცნიერო აკადემიის დარბაზებში. გამოფენებზედ ჰმეტობს უფრო პეიზაჟი და ეს გარემოება სიცხოველეს და ინტერესს აკლებს. ერთგვარობა, ერთფეროვნება ამ აუარებელ პეიზაჟებისა ჰღლის მაყურებელს, არას ეუბნება, გულს არ ჰხვდება, ტვინს არ ამოძრავებს, აზრს გიჩლუნგებს. ათასში ერთს თუ შეჰხვდები იმისთანას, რომ აზრს იტაცებს, ფანტაზიას ფრთებს ასხამს და სურათს იქით შორს-შორს მიგაფრენს. ამდენი ძალა მხოლოდ ტეხნიკაზედაა მიმართული. აზრი მიგდებულია, მივიწყებული.

ერთად-ერთი სურათი, რომელიც უნდა გამოარჩეს, არის სურათი რეპინისა „Какой просторъ!“ (რა სივრცეა!) ამიტომაც მხოლოდ იგი იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ აუარებელ „დამეებში“ „დილაებში“, „საღამოებში“ და ათას სხვა ამ გვარ სურათებში. სურათის წინ მუდამ ხროვად სდგას ხალხი და ათასნაირი შენიშვნა გესმის ყოველ მხრიდან. ზოგი აქებს, ზოგი დასცინის, ზოგი მასხარობს, ზოგი აღტაცებაშია, თუმცა უკანასკნელთა ხმა ისე თამამად არ ისმის, როგორც პირველებისა. ეს კია, რომ, ვინც მიუახლოვდება სურათს, უნებლიედ შესძახებს ხოლმე: „აჰა, აი რეპინის სურათი!“ აქ ამ სურათის წინ თქვენ ატყობთ მოძრაობას, აზრის მუშაობას. დიდ ტალღაზედ დახატულია ახუთქილი წყალი, უშველებელი მოშხუვარი ყინულები; ამდგარ ტალღებში სდგას ახალგაზრდა სტუდენტი, რომლის პალტოს ქარი აფრიალებს. ყმაწვილი, გალაღებული, გატაცებული, გამბედავი, სდგას ტალღებით გარშემოხვეული და მარჯვენა ხელს უწვდის ყმაწვილ ქალს, რომლის სახეზედაც ეს ზვირთები, ეს ყინულები, ქარი ღიმილს იწვევს; ყმაწვილი ქალი სცდილობს შლიაპა დაიმაგროს თავზე და თან იწევა სტუდენტის მიერ გაშვერილ ხელისაკენ.

სურათი ისეა დახატული, რომ ნათლად გეუბნება, რა აზრი ჰქონდა მხატვარს, როცა ჰხატავდა და, რა თქმა უნდა, იგი პასუხს ითხოვს შენგან. ამიტომაცაა, რომ ამ სურათის წინ ამდენი ლაპარაკი გესმის, ამდენი სხვა-და-სხვა აზრი და შეხედულება. ბევრი აგინებს მხატვარს, აძაგებს იმის ნაწარმოებს, ეძებს ნაკლულევანებას ტეხნიკაში, უაზრობას სწამებს, ოხუნჯობს, რომ მთვრალი სტუდენტი სადღაც წყალში ჩავარდნილა, მაგრამ ამ ქალს აქ რა უნდა გასაკვირველია,—ალბად, უხეირო კავალერი შეხვდა. ამნაირ ოხუნჯობასთან ერთად გესმით აღტაცება, გატაცება სურათის დედა-აზრით, ამ დედა-აზრის სათავის სიმძლავრით და მოხდენილად ტილოზე გადატანით.

ახლა ორიოდე სიტყვა ქართველ მხატვარზე, რომლის სურათი გამოფენილია „საკაზაფხულო გამოფენაში“ საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის დარბაზში. განგებ გადავათვალიერე ამ გამოფენის კატალოგი იმ სურვილით, რომ შემხვედროდი ერთ ქართველ სახელს მაინც და წავაწყდი კიდეც. ეს ქართველი არის ბ-ნი მ. თოიძე. გამოფენილია იმისი „Кавказская прачка“. გავექანე ამ სურათისკენ, მოვძებნე, როგორც იქმნა, დაკარგული პატარა სურათებში და დავუწყე სინჯვა. პატარა ტილოზე დახატულია დედაკაცი, რომელიც, ალბად, გობზე რაღაცას ჭუჭნის; გობის გვერდით ძევს საპნის ნათალი; დედაკაცს თავზე თავსაფარი აქვს შემოხვეული. რადა ჰქვიან ამ უბრალოსა და ღარიბ სურათს „კავკასიელი მრეცხავი“ და არა „რუსეთის მრეცხავი“ ან „იტალიელი“, ვერ მივმხვდარვარ სწორედ. რად შეაქვს მხატვარმა თავისი ძალა ზემოხსენებულ უფერულ, უხასიათო საგანს, ვერ გამიგია. სამწუხაროა ასეთი უნაყოფო შრომა. ამას კი ვიტყვი, რომ ბ-ნ თოიძეს ეტყობა ტეხნიკაში წინ წაწევა.

სამწუხაროა, რომ გ. გაბაშვილის არც ერთი სურათი ამ გამოფენებზე არ არის და იგი უცნობი რჩება აქაურ საზოგადოებისათვის.

დ. გ.

ტფილისის ცეცხლისაგან ურთ ერთ დამზღვევ საზოგადოების კრება

9 მარტს წლიური კრება ჰქონდა ცეცხლისაგან ურთ-ერთ დამზღვევ საზოგადოებას. კრებამ ჯერ წარსულის წლის ანგარიში განიხილა. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, 1902 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას დაზღვეული ჰქონია 1152 მამული, სულ 18,846,015 მან. ღირებული. საანგარიშო წლის განმავლობაში დაუზღვევია კიდევ 101 მამული 1729,727 მ. ღირებული და 125 მამულზე დამატებით დასაზღვევი ფული გაუცია 943,100 მან. სულ წლის განმავლობაში 2.672,827 მან. ამავე წლის განმავლობაში საზოგადოებიდან გასულა 30 დაზღვეული და წყვეტანიათ დასაზღვევი 465,400 მან., დაუკლიათ დასაზღვევი ფული 27,100 მან. ასე რომ ამ 1903 წლის 2 იანვრისთვის საზოგადოებას ჰქონდა დაზღვეული 1223 მამული 21.026,342 მანეთად. წლიური შემოსავალი საზოგადოებას ამ დაზღვევისაგან ექმნება 35,021 მან. 37 კაპ. საანგარიშო წელს გამგეობას დასაზღვევად არ მიუღია 36 მამული, რადგან ძველი შენობანი ყოფილა და ცეცხლის მხრივ საშიში. წარსულ წელს დიდი ზარალი მოსვლია საზოგადოებას, რადგან 22 მემამულეს დასწვია სახლი და საზოგადოებიდან გაუტანია 17,556 მან. 65 კაპ.

1902 წელს საზოგადოებას წმინდა შემოსავალი ჰქონია 16,711 მან. 75 კაპ., რომელიც უნდა მიემატოს სათადარიგო თანხას ასე, რომ ეხლა ეს თანხა არის—151,295 მან. 76 კაპ.

საზოგადო კრებამ დაამტკიცა ანგარიში. მეორე კამათი გამოიწვია ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ მოწერილმა ქაღალდმა იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას დამზღვევ საზოგადოების მიერ ფული ცეცხლის მქრობელ რაზმის შესანახად. კრებამ დაადგინა ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა იმ დროისათვის გადასდოს, როცა ქალაქის გამგეობა გამოარკვევს, რა დაეჭირდება ყოველ წლობით ცეცხლის მქრობელ რაზმის შენახვას.

პენზას ქალაქის დამზღვევ საზოგადოებას უზარალნია 750.000 მან. ამ საზოგადოების

აგრეთვე დღევანდელი სკოლა ხელს უწყობენ ახალთაობას, რომ პროსტიტუცია გავრცელდეს. დიახ, დიდი უმრავლესობა ისეთ ტრაგიკულ მდგომარეობაში ვარდება, როგორშიაც მოთხრობის გმირი ჩავარდა.

რასაკვირველია, ყველა არ მიეცემა ასეთ სასოწარკვეთილებას, ყველა არ დარწმუნდება, რომ დაღუპილი და წამხდარი კაცია მას შემდეგ, რაც სხეულის უმანკოება დაჰკარგა. ეს მორალი ბურჟუაზიული მორალია: ჩვენთვის სულიერი სიწმინდეა საჭირო და არა ფიზიკური, ჩვენ ადამიანის ზნეობას ვაფასებთ და არა იმის ფიზიონომიას. მაგრამ ახალთაობისა და თითქმის მთელის საზოგადოების ტრაგიკული მდგომარეობა არ იცვლება. საზოგადოება ისე დაეცა ამ მხრივ, რომ არავის არ შეუძლიან უარჰყოს ეს ფაქტი, არავის არ შეუძლიან იმის ჩაფუჩჩება.

ნუ თუ ლიტერატურამ არ უნდა აღნიშნოს ასეთი მოვლენა? ნუ თუ ლიტერატურამაც არ უნდა გაჰკიცხოს თანამედროვე საზოგადოების გათახსირება? რასაკვირველია, ასეთ საგნებზე სალონურ ლიტერატურაში არას ამბობენ, მაგრამ ნამდვილმა ხელოვნებამ-კი უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ამ გვარ ანომალიას. ამ მოთხრობაში არა არისრა პორნოგრაფიის მსგავსი. ნუ თუ როსკიპ ქალის ხსენება და იმისი მოკლე დახასიათება პორნოგრაფიაა? ნუ თუ ასეთი აღწერა გარყვნის მკითხველს, იმ მკითხველს, რომელიც ისედაც ძლიერ კარგად იცნობს პროსტიტუციას? ანდრეევს ისე აქვს აწერილი ეს მომენტი, რომ მკითხველი ზიზღის მეტს სხვას არასა ჰგრძნობს. ავტორი გვაზიზღებს და გვაძულებს გარყვნილებას, გვისურათებს იმას, რაც თანამედროვე საზოგადოების 99% მა კარგად იცის, ჩვენ-კი გავიძახით: გაგვრყვნაო. მწერალი ჩვენ დაცემასა და გათახსირებას ებრძვის, უნდა სწორ გზაზე დაგვაყენოს, ჩვენ-კი, მადლობის მაგივრად, უზნეოსა და გარყვნილ მწერალს ვუწოდებთ. სწორედ სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს...

ნუ თუ მწერალი უნდა ვაძაგოთ იმიტომ, რომ გაჰბედა, სიმართლე გვითხრა და თვალები აგვიხილა? ნუ თუ მწერალი, რომელმაც თავისს მოთხრობებით ნათლად დაგვისურათა დიდ უმრავლესობის ტრაგიკული მდგომარეობა, გაკიცხვისა და გინების ღირსია? ვინ უარჰყო, რომ ანდრეევის მიერ დასურათებულ მოვლენებს ნამდვილ ცხოვრებაში ადგილი არა აქვს? ამის უარის ყოფა არავის არ შეუძლიან. ამითი-კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ მხატვარმა მუდამ ცხოვრების ცუდი მხარე უნდა ჰხატოსო. სრულებითაც არა. ცხოვრებაში, როგორ ზემოდაცა გვაქვს ნათქვამი, ბევრ კარგ და შვენიერ მოვლენას აქვს ადგილი, იმათი დასურათებაც ადამიანისათვის აუცილებლად საჭიროა. არის მწერალი, რომელიც მხოლოდ გახრწნილებას ჰხედავს და გვიხატავს, არის კიდევ მწერალი, რომელიც ორივეს, ცუდსაც და კარგსაც, ერთნაირად ჰხედავს და ერთნაირად გვისურათებს. ორივეს დიდი სარგებლობა მოაქვს, ორივე ერთნაირად გვინათებს გზას, ორივე ერთნაირად გვაძულებს ბოროტებას და გვაყვარებს შესაყვარელს. მწერალი, რომელიც თანამედროვე სოციალურ განწყობილებას, უვარგისობასა და უსამართლობას გვიხატავს, განა ამასთანავე არ გვაყვარებს იდეალურ სიმართლეს, მომავალ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც დამყარებული იქნება საერთო სიყვარულსა და ჰარმონიაზე და არა კონკურენციაზე, როგორც დღესაა? მწერალი, რომელიც გვიმტკიცებს—ეს წყობილება ცუდიაო, ამავე დროს გვითითებს სხვა წყობილებაზე, სხვა ურთიერთობაზე; მაშასადამე, იმას ისეთივე სარგებლობა მოაქვს, როგორც ცხოვრების შვენიერების გამომხატველს. ეს ანბანური ჭეშმარიტება ვერ შეუგნიათ რუსეთის კონსერვატორებს. ისინი ჰფიქრობენ, რომ ხელოვნება მხოლოდ შვენიერებას უნდა ჰხატავდეს და მწვავე საკითხებს არ უნდა ეხებოდესო. ისკი არ იციან, რაც იმათ ცხოვრების მშვენიერებად მიაჩნიათ, სხვებს პირიქით ეჯავრებათ, სხვები იმის წინააღმდეგ იბრძვიან. მათი გალაშქრება ანდრეევის წინააღმდეგ ძლიერ ადვილი ასახსნელია. ლეონიდ ანდრეევის მოთხრობებში იმათ დაინახეს თავიანთი თავი, თავიანთი საქმენი საგმირონი. მაშინ, როდესაც საფრანგეთში პორნოგრაფიული რომანები დაჰგმო საზოგადოების პროგრესიულმა ნაწილმა, როდესაც საფრანგეთში გადაგვარების გზას დამდგარი ბურჟუაზია გაიტაცა უკიდურესს ნატურალისტების ნაწერებმა, რუსეთში უმთავრესად კონსერვატორებმა გაილაშქრეს ანდრეევის ვითომ და პორნოგრაფიულ მოთხრობების წინააღმდეგ.

რით აიხსნება ასეთი საკვირველი მოვლენა? საფრანგეთის უკიდურესი ნატურალისტები ისე ჰხატავდნენ გარყვნილებას, რომ მკითხველს ძალაუნებურად იზიდავდნენ გარყვნილებისაკენ; ანდრეევი-კი მკითხველს აძულებს გარყვნილებას, აზიზღებს გარყვნილების ბუდეს. აი, ეს არ მოსწონთ. იმათ ჰსურთ გარყვნილების იდეალიზაცია, მისი კარგად დახატვა. არ აკმაყოფილებს იმათ ანდრეევის მოთხრობანი და, რასაკვირველია, კიდევაც სდევნიან. გაიხსენეთ როგორა სდევნიდნენ რუსეთის ობსკურანტები გოგოლს, ნეკრასოვს, დოსტოევსკის, შჩედრინს, ტოლსტოის *), ნადსონს, გორკის და სხ. მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცხოვრების ცუდ მხარეებს შეეხნენ, დაგვიმტკიცეს დღევანდელ სოციალურ წყობილებისა და კონკურენციის უვარგისობა და უსამართლობა; გაიხსენეთ, როგორ სდევნიან ისინი გორკის მხოლოდ იმიტომ, რომ დაბალ კლასების ცხოვრება დაგვიხატა, გულწრფელი ადამიანი დაგვანახვა,—და საჭირო აღარ იქნება იმის განმარტება, რადა სდევნიან და აძაგებენ ლეონიდ ანდრეევს.

იგ. რ—შვილი.

---

*) მკითხველს ალბად მოეხსენება, როგორი აყალმაყალი ასტეხეს ლევ ტოლსტოის „Крейцерова Соната“-ს გამო. მით უფრო საკვირველია ლევ ტოლსტოის მეუღლის პროტესტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობას მიუმართავს სხვა-და-სხვა დამზღვევ საზოგადოებისა და, სხვათა შორის, ტფილისისათვისაც და უთხოვნია, უსარგებლოდ ასესხოს ფული 20 წლით. ტფილისის დამზღვევ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია შეეწიოს 1000 მანეთის სესხებით. კრებამ მიიღო გამგეობის დადგენილება. დასასრულ მოხდა თანამდებობის პირთა არჩევანი. არჩეულთა ვინაობა გუშინ უკვე გვქონდა აღნიშნული.

დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება

ამხანაგობის კრება მოხდა კვირას 12 საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ცხისტაშვილი, დაესწრო 25 კაცამდე. კრებამ პირველად წარსულის წლის ანგარიში განიხილა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, აქტივი: ამხანაგობას მაღაზიაში საქონელი ჰქონია 901 მანეთისა, ჰმართებიათ სხვა-და-სხვა პირებს ამხანაგობისა 630 მ. 32 კ. და სხვა, სულ 2062 მ. 29 კ., პასივი: პაის ფული 1253 მან. 30 კაპ., მართებს ამხანაგობას 805 მან. 48 კაპ. სულ 2102 მან. 61 კაპ. საანგარიშო წელს უზარალნია ამხანაგობას 294 მან. 68 კაპ. სარევიზიო კომისია სწერს, რომ გამგეობის წევრები გულგრილად ეპყრობოდნენ საქმესაო. კომისია თვის მოხსენებაში თხოულობდა საყვედური გამოეცხადოს გამგეობის წევრებსაო. გამგეობის ანგარიშმა და სარევიზიო კომისიის მოხსენებამ გამწვავებული კამათი გამოიწვია. ბევრმა ილაპარაკა, საქმის გამოძიება დავინიშნოთ განსაკუთრებულ კომისიის შემწეობით და შემდეგ პასუხის გებაში მივცეთ გამგეობის წევრნიო. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა დაავალოს გამგეობის ახლად ამორჩეულ წევრებს სარევიზიო კომისიასთან ერთად მთელი ამ საქმის ვითარების გამორკვევა და შემდეგ გამგეობის თითოეულ წევრის შესახებ საზოგადოებისათვის მოხსენების წარმოდგენა. კრებაზე ლაპარაკი ჰქონდათ ამხანაგობის საქმეთა გაუმჯობესებაზე. ზოგმა სთქვა, გამგეობაში ისეთნი ამოვირჩიოთ, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ, ამასთან სასურველია კარგი დავუნიშნოთო. უმრავლესობამ გამოსთქვა სურვილი ასეთის პირების არჩევისა. კრებამ ამასთან გამგეობის წევრთა საქმე განაწილა ამნაირად: თავმჯდომარემ უნდა აწარმოოს საქმეები, გამგეობის ერთი წევრი იქნება ქარხანაში მომუშავეთა ხელმძღვანელად, ხოლო მეორე მაღაზიაში საქმეების საწარმოებლად. ზოგიერთ უმნიშვნელო საქმის განხილვის შემდეგ კრება შეუდგა არჩევანს. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნ გ. ი. თოიძე, რომელმაც უსასყიდლოდ იკისრა ამ თანამდებობის ასრულება; გამგეობის წევრებად ხმის უმეტესობით: ბ-ნი ი. ს. რუსიშვილი (მაღაზიაში საქმის მეთაურად იქნება) და ბერძენიშვილი (რომელიც ქარხანას უხელმძღვანელებს), გამგეობის წევრის კანდიდატად ამოირჩიეს ბ. ნაბიჭვრიშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად: მ. ხიდრიშვილი, ს. ტარიელიშვილი და ი. მაჭავარიანი, ხოლო დამფასებელ კომისიის წევრებად: ბ-ნი კობიძე, ელიავა და გლურჯიძე.

დაბა-სოფლები

ჭიათურა (იმერეთი). როგორც ჭიათურისა, ისე ჭიათურის ახლო მახლო მდებარე სოფლების საწყალ-საცოდავი შეიქმნა წრეულდელი ზამთარი. წასულ კვირეებში, როგორც გადმოგცემდით, რამდენიმე კაცი უმსხვერპლია მოულოდნელ ქარბუქს სოფ. კორბოულსა, ბოროულსა და მის ახლო-მახლო სოფლებში მგზავრობის დროს. მაგრამ წრეულდელმა ზამთარმა არც კი აკმარა ხალხს: ორი კვირაა, რაც აქეთ თოვა შესწყდა და ამინდები კარგი დაიჭირა, რის გამო თოვლმა დაიწყო დნობა და დიდი ზარალი მიაყენა ხალხს. ჩამოწვა ბევრგან ზვავები, დაამტვრია და დააზიანა სახლები, დაანგრია მარნები, რომელმაც ისედაც შევიწროებულ მრეწველთ და ხალხადართ ხელი შეუშალა, აავსო წყლით მარნები ბევრგან, დაამტვრია მარნებში სახლები და ფარდულები და მრავალი სხვა უბედურება მოახდინა. სოფლის გზების შეხერგებას ვინღა დაეძებდა, რომ რკინის გზის მიმოსვლა არ შეჩერებულიყო. მთელი კვირა ჭიათურაში სახალხო მატარებელი არ მოსულა; არ მოსულა აგრეთვე იმ კვირას არც ფოსტა, არ გაუტანიათ აქედან ერთი კენჭი შავიქვა. უთვალსავე სანოვაგეს ფასი მოუმატა; ბევრს ადგილას ჩამოწვა ზვავი, მაგრამ ყველაზე დიდი ჭიათურას და სალიეთ შუა ჩამოწვა. ერთი კვირა ურიცხვი მუშა დღე და ღამ სწმენდავდა გზას.

ლადო გუბელი

სამტრედია (იმერეთი). როგორც იყო, დავაღწიეთ თავი გულის შემაწუხებელ ზამთარს. ძლივს დაგვიდგა გულით და სულით სანატრელი ამინდები და თებერვლის 10-დან ვღირსეთ მზიან დღეებს. თუმცა არეული მარტი ჯერ კიდევ არ გასულა, მაგრამ ხალხი მაინც გახარებულია. ეს 18 დღეა, რაც ხვირიანი ამინდებია ჩვენსკენ. ამ მზიანმა დღეებმა და ქარ-ნიავმა გააშრო ის გავერანებული გზები, სადაც ამ ოცის დღის წინად სანაქებო ბედაურსაც გაუჭირდებოდა გავლა, ამასთან სამოძრავო ხალხიც. დღეს ქალი და კაცი შეუწყვეტლად მუშაობს, თითქმის დღეს ღამესთან ასწორებს, რადგან ის სამუშაო, რაც შემოდგომასა და ზამთარში უნდა გაეკეთებინათ, გაზაფხულში მოუქცია უამინდობისა გამო. ზამთარში აქაურები დობავენ, სწმენდავენ თხრილებს, ბარავენ საბადე მიწებს და ამზადებენ აბრეშუმის ჭიისთვის დასაგებ ჩელტებს ზოგი ჩალისას და ზოგიც წნელისას. ყველა ეს ზამთრის სამუშაოა, მაგრამ წელს მარტშიაც ვერ მორჩებიან, რის გამოც საყანე მიწების დახვნა და დათესვა, ცოტა არ იყოს, დაგვიანდება.

დადგა თუ არა დარები და გზები შეშრა, შეიქმნა ურმების ჭრიალიც: მოდის და მოდის სამტრედიაში სიმინდი მახლობლად მდებარე სოფლებიდან. ვისაც აქვს და არა აქვს გასასყიდი, ყველანი ჰყიდიან, რა არის ორი გროში იშოვნონ. დღესასწაულებიც ახლოვდება და, რასაკვირველია, საჭირო მორთვა-მოკაზმვა, ბევრი სხვა აუცილებელი მოთხოვნილებაც აქვთ დასაკმაყოფილებელი.

სამტრედიელი

—

ციცხი (იმერეთი). ჩვენი სოფელი სამტრედიას აკრავს. სულ აქ სამოცი კომლია და ყველანი გადმოსახლებულნი არიან რიონ გაღმის კუთხიდან, სახელდობ სოფ. ჭყუმიდან. ამათი გადმოსახლება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. მკითხველს ეხსომება, რომ 1895 წელს დიდი წყალდიდობა იყო ქვემო იმერეთში. ამ წყალდიდობამ ყველანი ააწიოკ-დააწიოკა, მათ შორის ჭყუმელებიც. რიონი, რომელიც გვერდზე ჩაუდის ჭყუმს, მცხოვრებთა კარ-მიდამოს საშინლად ავერანებდა და იმ წყეულ-კრულით მოსაგონებელ წელს ხომ სულ ბოლო მოუღო ჭყუმელებს. აი, ამისთვის რამდენიმე კომლი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მამა-პაპური კარმიდამო და გადასახლებულიყო სხვა მხარეს. რადგან მათთვის ხელმისაწვდომი იყო და თან კარგადაც ემხრობოდათ ძველი სახნავ-სათესის მეპატრონე, ამის გამო იყიდეს თითო ნაკვეთი მიწა ციცხში და დასახლდნენ იქ. ახლად დასახლებულთ თან-და-თან ემატებიან მეზობლები, რის გამოც ციცხის ცარიელი მიწები, რომელზედაც ტურა-მგლის მეტი არა დადიოდა-რა, დღეს მცხოვრებლებით არის მოფენილი. აქაური მცხოვრებნი შეუერთდნენ ეწრის საზოგადოებას და თანაც აიშენეს საკუთარი ხის ეკკლესია.

ამ დღეებში აქ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი. 17-ის წლის ქალს, დუგა დუგუას ასულს, კერასთან მახლობლად მჯდომს, ტანისამოსზედ გაუჩნდა ცეცხლი. სახლში მარტო იყო. ქალი გარედ გამოვარდა წყლისთვის, მაგრამ სანამ წყალზედ მივიდოდა, ცეცხლი ტანისამოსს სულ მოედო. ქალს სხეული ისე დაეწვა, რომ სამის დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

მ. გელეიშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

პეტერბურგი. 9 მარტს ხელმწიფე-იმპერატორმა, დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრებმა დაათვალიერეს გამოფენა საიმპერატორო საარქეოლოგო გამოფენისა.—9 მარტს ხელმწიფე-იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ავგუსტოესის შვილებითურთ საცხოვრებლად გადაბრძანდნენ ცარსკოე სელოში.—9 მარტს იმის იმპერატორებითს უდიდებულესობას წარუდგა გერმანიის ფლოტის ვიცე-ადმირალი ტერპიცი.—გაზეთები იუწყებიან, რომ ოლქის სასამართლომ კონსტანსკის, რომელმაც ისაკიევის ტაძრიდან ბრილიანტები მოიპარა, გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 6 წლით კატორღაში გაგზავნა.

ჟიტომირი. მოხდა კრება ვოლინის გამომკვლევ საზოგადოების საეკონომიო სექციისა, რომელზედაც წაიკითხეს მოხსენება პეტერბურგ-სამხრეთის რკინის გზის მიმართულებისა და იმის შესახებ, რომ ამ გზამ ჟიტომირზე გაიაროს. დაესწრნენ ქალაქისა, საზოგადოებათა და სახაზინო დაწესებულებათა, ბანკებისა და სხვათა წარმომადგენელნი. მიიღეს წინადადებანი მომხსენებლისა და დაადგინეს წარუდგინონ იგი სათანადო სამინისტროებს და გაჰგზავნონ ამ აზრით დეპუტაცია.

ოდესსა. დღეს საძირკველი ჩაჰყარეს კათოლიკეთა მეორე ეკკლესიისა.

მიტავა. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა დააარსოს მიტავაში მთავარი არქივი დირექტორის გამგეობით. ადგილობრივ წყაროებიდან შენობის ასაგებად გადადებულ იქმნა 50,000 მანეთი.

ბიარიცი. დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგისა პარიზს წავიდნენ.

ვენა. დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ პეტერბურგიდან მოვიდნენ და ათინაში წავიდნენ.

ბერლინი. როგორც „ქელ. ცაიტ.“-ს მაკედონიიდან ატყობინებენ, უწესოებანი ჯერ კიდევ ჰხდება. ოსმალეთის მოხელეთა სიტყვით, ამ უწესოებას ბოლგარიიდან გამოსულნი ახდენენ. ოსმალეთს მოქმედების სრული თავისუფლება უნდა მიეცეს, რომ უწესოებას ბოლო მოუღოს. სახელმწიფონი, მათ შორის რუსეთიც, ერთისა და იმავე აზრისანი არიან. სხვა თვალით უყურებენ საქმეს მხოლოდ ფრანგული გავლენიანი ჟურნალები, რომელნიც ავად იხსენიებენ ოსმალეთს, აღნიშნავენ რუსეთ-ავსტრიის რეფორმათა პროგრამის უსრულობას და ურჩევენ საბერძნეთს, მაკედონიის სლავიანებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გაემართოს. რჩევანი ფრანგულ გაზეთისა, რომელიც ხელს არ უწყობს მშვიდობიანობისა და მაკედონიის დაწყნარების საქმეს, ეწინააღმდეგება რუსეთის პოლიტიკას და დელკასსეს აზრს, რომელმაც მოიწონა რეფორმათა პროექტიო.—„ტაგ. ცაიტ.“-ს ატყობინებენ სოფიიდან, მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა გამოუცხადა ამ გაზეთის კორესპონდენტს, რომ ბოლგარიის მთავრობამ გადასწყვიტა ყოველი საშუალება იხმაროს წესიერების დასაცველადო. თუ სამინისტრო რამდენად სერიოზულად ეკიდება საქმეს, სჩანს მაკედონიის კომიტეტთა გაუქმებიდანაო.

კონსტანტინეპოლი. ხილმი-ფაშა დეპეშით იუწყება, რომ კასსოვის ვილაეტის ხუთმა ტომმა ალბანელთა, რომელნიც ამბობდნენ, არ დავემორჩილებით რეფორმებსაო, ფორმალური პირობა დასდეს, სულთანის ბრძანებას დავემორჩილებითო.

პორტ კარაკასი. კასტრო პრეზიდენტობიდან გადადგა. ეს გადაწყვეტილება ეპისტოლეთი ეცნობა კონგრესს. ვიცე-პრეზიდენტი შეუდგა პრეზიდენტის თანამდებობის შესრულებას. მშვიდობიანობაა.

მადრიდი. ცეუტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ კაბილები დაეცნენ ექსპედიციას, რომელიც გაჰგზავნა ერთმა გერმანელმა ფირმამ. კაბილებმა ხელთ ჩაიგდეს პირუტყვი, საქონელი და ფული (500 პიასტრი), მოჰკლეს ერთი ესპანელი. მოგზაურთ ტეტუანამდე მისვლა მოახერხეს. გუბერნატორმა რწმუნებულნი გაჰგზავნა მოტაცებულ საქონლის დასაბრუნებლად, მაგრამ კაბილებმა არ მოისურვეს დაბრუნება და განაცხადეს, არა ვცნობთ მაროკოს სულთანსაო.

რომი. როგორც კაზელიდან გაზეთებს ატყობინებენ, ქვრივ გავინოსთვის მოუპარავთ თითქმის სამ მილიონ ლირის სარგებლიანი ქაღალდები.

მარიენბადი. აქაურს სადგურზე ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. მემანქანე მოკვდა, 7 კაცი მსუბუქად დაიჭრა.

ვაშინგტონი. კარაკასში მყოფ ამერიკის რწმუნებულის დეპეშა იუწყება, რომ საექვოა კონგრესმა შეიწყნაროს კასტროს თხოვნა თანამდებობიდან გადადგომის შესახებაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 მარტს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,42½
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¼ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅜ მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	451 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	346¼ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	303¼ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91 „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	205

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საძინებლებით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 48 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ყვირილის თეატრის
ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოჰხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეატრის შენობის გაკეთება მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა, მასალა ამხანაგობის იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ჭიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე ქნ. ბარბარე წერეთლისა. (10—5)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: **Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во,** ლორისმელიქოვის ქუჩა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Марта, 1903 г.   ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)